წელიწადი მეორე. № 36. 14 სეპტემბერი. 1878 წ.

ხელის-მოწერა:

ტფილისს, «ივერიის» რედაქციაში მთაწმინდის ქუჩაზე, შიოევის სახლების ზემოდ, სახლი № 5.

ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

განცხადება მიიღება ქართულს და რუსულს ენაზედ.

«ივერიის» ფასი

ერთის წლისა, გაგზავნით და გაუგზავნ. 7 მ. —
ნახევარის წლისა . . . . . . . 3მ. 50კ.
თითო ნომერი . . . . . . . . « 15კ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს.

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ტფილისი

F 3051

„ივერიის“ რედაქცია იმყოფება სოლოლაკში, კონსულის ქუჩაზე, ვართანოვის სახლებში, № 5.

**საძიებელი:** I. საქართველოს მატიანე. ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში. («ივერიის» კორრესპონდენციები) საგარეჯოდამ, ქართლიდამ, ქუთაისიდამ, ოზურგეთიდამ.— II. საპოლიტიკო მიმოხილვა.— III. პროვინციალური მეთვალყურის ჩივილი და შენიშვნები.— IV. რამეთუ კაცი ვარ.

## საქართველოს მატიანე

### ტფილისის გუბერნიის სახალხო სასწავლებლების მასწავლებლებთა კრება ქ. ტფილისში. *)

4 სეკტემბერი. გათენდა ორშაბათი. მოახლოვდა ცხრა საათი, ნელ-ნელა კიდევაც შეიკრიბნენ ქალაქის საბჭოში ჩვენნი ნაცნობნი. დღეს გაკვეთილი ასწავლა უფ. ივანე როსტომაშვილმა კახის ნამასწავლებელმა, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ უფ. როსტომაშვილმა ვერც დღეს აასრულა თავისი საქმე რიგიანად, თუმცაღა დღეს მას თითქმის ყველაფერში კლასის მასალა ჰქონდა, ამის გამო ყველა გაკვეთილები ამას დღეს არ უსწავლებია. ორი დანარჩენი გაკვეთილი ასწავლა თვით უფ. დირექტორმა. კლასებში სწავლა ავად-თუ კარგად გათავდა. დაიშალენ ყველანი და თავიანთ სახლში წავიდნენ.

საღამოს ხუთს საათზედ შეიკრიბნენ ჩვენნი პედაგოგნი ჩვეულებრივად სამეურნეო საზოგადოების შენობაში, სადაც განარჩიეს უფ. როსტომაშვილისაგან სწავლებული გაკვეთილი. შემდეგ დაიწყეს სჯა იმაზე, თუ რამდენის წლის ყმაწვილი უნდა მიიღონ კლასში სასწავლებლად. წერა-კითხვა რომელის მეთოდით უნდა ასწავლოს კაცმა: აქვე უნდა გიამბოთ: სხდომას ჯერედაც არ მისცემია რიგიანი მსვლელობა. დღემდის მართალია ბევრი რამ ითქვა, მაგრამ ჯერ ცოტაც არა გაკეთებულა რა. ამის მიზეზი უწესოება არის, რომელიც დღემდის ვერ განუშორებიათ.

5 სეკტემბერი. როგორც ჩემი დღიური მიდის უფერულად, ისე ჩვენის პედაგოგების აწინდელი საქმე მიდის. დღეს უფალი დირექტორი რაღაც გვიან მოვიდა სასწავლებელში. ამისათვის არ დაუცდია უფ. კუჩუკოვს, რომელიც დღეს გაკვეთილს ასწავლიდა. დასხდნენ შეგირდები. დაიწყო სწავლა. მაგრამ უფ. კუჩუკოვი, როგორც ეტყობოდა, საშინლად დაიფანტა. ამ ყმაწვილ-კაცმა თავისი საქმე გვარიანად უნდა იცოდეს, როგორც ეტყობა. დღევანდელის გაკვეთილის მიცემაზე არა ღირს არაფრის თქმა. ხვალისათვის და ზეგისათვის-თვით სტრელეცკიმ უნდა ასწავლოს გაკვეთილი. ახლა შევიდეთ სამეურნეო საზოგადოების შენობაში და ვნახოთ, რას შვრებიან. სხედან ერთს დიდს, გრძელს სტოლთან ოც-და-ხუთამდის კაცი და არჩევენ, უშინსკის წიგნს **Руководство къ преподаванію по родному слову**. სამი საათის სხდომის შემდეგ უფ. დირექტორმა მასწავლებლებს ხარჯის ფულები დღეში თითო მანეთი დაურიგა და სხდომაც გათავდა ხვალემდის.

6 სეკტემბერი. დღეს გაკვეთილი თვით დირექტორმა ასწავლა, მაგრამ არც ეს არის იმდენათ შესანიშნავი, რომ ამაზე რამე დაიწეროს. მაგრამ ამასაც-კი ვიტყვი, რომ ამ გაკვეთილებშიაც ბევრი ნაკლულევანება შეამჩნიეს აქ მსხდომთა. გაკვეთილებზე ლაპარაკს, ჩემის აზრით ის უფრო საინტერესო უნდა იყოს, რაც სჯა აქ სამეურნეო საზოგადოების შენობაში მოხდება ხოლმე. ჩვენი განათლების წარმომადგენელნი დღეს იწყებენ მხურვალედ ლაპარაკს: დღეს რამდენიმე კითხვა ჩამოვარდა, რომელთა შორის შესანიშნავნი არიან შემ-

---

*) „ივერია“ № 35, 1878 წ.

დეგნი: რამდენს წელს უნდა ისწავლოს სოფლის ბავშვმა შკოლაში? რამდენის წლის ნაკლები არ უნდა მიიღოს სასწავლებელმა? რა ენაზე უნდა იყოს შკოლაში საგნების მწავლება? პირველის კითხვის შესახებ, თუ რამდენს წელს უნდა ისწავლოს ყმაწვილმა შკოლაში, გარდასწყვიტეს: სოფლის შკოლაში ყმაწვილმა უნდა ისწავლოს მხოლოდ სამს წელს, მისთვის რომ ვითომ გლეხს არ შეუძლიან შკოლაში ამ დროზე მეტს ხანს დააყენოს ყმაწვილი, ესეც რომ არ იყოს, ოთხს განყოფილებას, რომელიც მეოთხე წელში გამოჩნდება ერთი მასწავლებელი თავს ვერ აუვაო. ამ დროს წარმოდგა უფ. ანტ. ჯუღელი, ჰკითხა სიტყვის თქმის ნება უფ. დირექტორს, რომლისაგან იმ წამსვე ნება-რთვა მიიღო, და სთქვა: სამი წელიწადი რომელიც თქვენ დაამტკიცეთ ეხლა, არ კმარა სოფლის შკოლისათვის. ამ მოკლე დროის განმავლობაში, ე. ი. თვრამეტს თვეს, რომ ყმაწვილების სწავლა აქვთ, ყმაწვილები სრულიად ვერაფერს ვერ მოასწრობენ, ამისთვის სანატრელი იქნებაო, რომ სოფლის შკოლებისათვის ოთხი წლის კურსი დაინიშნებოდესო. ეგ მართალია, აქ მსხდომთა სთქვეს, მაგრამ, როგორც გსთქვით, გლეხს არ შეუძლიან ოთხს წელიწადს მოაცდინოს სწავლისათვის შვილი, მუშაობაში მშველელი, როგორც ჩვენში იტყვიან მამის მარჯვენა მხარიო. ამაზე ჰსთქვა ჯუღელმა, მე მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველა გლეხი თუ არა ასზე ხუთი მაინც მოაცდენს ოთხს წელიწადს შვილსა, რომელსაც შეუძლება რიგიანად იმის შესწავლა, რაც სოფლის შკოლების პროგრამმაში შეიცავსო. ჩემის ფიქრით უმჯობესია, ხუთის რიგიანის კაცის ყოლა, ვინემ ასისა და უხეიროსიო. ამაზედ ერთმა მასწავლებელთაგანმა, რომელიც სხვებზე უმჯობესად ითვლებოდა, ჰსთქვა: უფ. ჯუღელის აზრის თანახმა არა ვარო. ჩემის აზრით ჩვენის ხალხისათვის ბევრი ცოტაოდნად ნასწავლი სჯობსო, ვინემ ცოტა კარგად ნასწავლიო. ამის შემდეგ უთხრა ჯუღელმა მასწავლებლებს: თქვენ გაგონილი გექნებათ, რომ ზოგან რუსეთში და ბევრგან სამზღვარ გარეთ შკოლა ოთხისა, ხუთისა და ხან შვიდი-რვა განყოფილებიდამ შედგება ხოლმე, რომელსაც ერთი მასწავლებელი უვლის და აქ რა გიშავთ, რომ ოთხს განყოფილებას, ხელი შეუწყოთო? ამ კითხვაზედ უფ. დირექტორმა მასწავლებლებს უთხრა, რომ კითხვა იმათ შეეხებათ და უნდა პასუხი მიჰსცენო. ამის შემდეგ უფ. ივ. როსტომაშვილმა ჰსთქვა: რუსეთში არსად არ არის ოთხ-განყოფილებიანი შკოლაო... სხვებმა ჰსთქვეს: მართალია სამზღვარს გარეთ ოთხ-ხუთ განყოფილებიანი შკოლები არიან, მაგრამ იქ სულ სხვა პირობები არისო და თან არც რიგიანად(?) მიდის საქმეო, ამისთვის გვსურს სამის წლის კურსის მეტი არ იქმნას ჩვენს შკოლებშიო, და კიდევაც ამით გათავდა საქმე.

მეორე კითხვა, თუ რამდენის წლის ყმაწვილი უნდა მიიღონ სასწავლებლად, ცოტა სჯის შემდეგ, გარდასწყვიტეს, რომ მიიღონ შვიდის წლიდამ მოყოლებული რამდენის წლისაც უნდა იყვეს ყმაწვილი, თუნდ ოცისაც.

მესამე, რა ენაზე უნდა მიეღებოდეს სწავლა ქართულ შკოლებში. ამაზე ბევრი სჯა არ ყოფილა, რადგანაც ეს ყოველმა კაცმა იცის. აქ ჰსთქვა უფ. დირექტორმა: დღემდისინაც ჩვენს შკოლებში ქართულს ენაზე ყოფილა სწავლა და მომავალშიაც ისე უნდა იქნესო. ამაზე წარმოსდგა უფ. მარჯვანიძე (გარეშე პირი) და ჰსთქვა: აქამომდის, როგორც ზოგი მასწავლებლები ამბობენ, სწავლა საგნებისა რუსულს ენაზე მიდიოდაო, მაგრამ დღეიდამ კი ასე არ უნდა იქნეს. აწ მაინც სიტყვა მარტო სიტყვით ნუ დარჩება, თორემ თქვენი სამის წლის კურსი სრულიად ვერაფერს გააკეთებს, ე. ი. ვერაფერს მოასწრობენ ყმაწვილები და ხალხს შკოლები შესძულდებაო. ამაზე უფ. დირექტორმა უპასუხა შემდეგი: მე კითხვას ეხლავ თვით ჩემის მასწავლებლების პასუხით დავ[illegible]ო. უფ. მასწავლებლებო, რა ენაზე მიდიოდა თქვენს შკოლებში სწავლა საგნებისა, რუსულზე, თუ ქართულზედ? მასწავლებლებმა უპასუხეს ერთ ხმად: ქართულს ენაზედაო. დღემდის თვითონ ამ მასწავლებლებთაგან გაგვიგონია, როგორც მე, ისე შენცა მკითხველო, რომ სწავლა რუსულს ენაზე მიდის ჩვენს შკოლებშიო, ეხლა ვინ არის მტყუანი?!

მესამე კითხვა შეეხებოდა იმას თუ რა დროიდამ დაიწყონ ყმაწვილების მიღება ან სწავლა და რა დროს დაითხოვონ კანიკულებზე ყმაწვილები. ამაზე დაადგინეს შემდეგი: ყმაწვილების მიღება დაიწყონ თხუთმეტის სეკტემბრიდამ და განაგრძონ პირველს ოკტომბრამდის ხოლო საკანიკულოდ ხუთმეტს ივნისს დაითხოვონ რადგანაც კალოობა იწყება ივნისის თხუთმეტიდამ. ამას გარდა რამოდენიმე წვრილმანს საგნებს შეეხნენ, მაგრამ ამაზე არა ღირს წერა, მხოლოდ ის

უნდა ვჰსთქვათ, რომ მასწავლებლებთ შორის დირექტორმა გაანაწილა საგნები, რომლებზედაც ამათ პროგრამმა უნდა შეადგინონ.

7 სეკტემბერს. დღეს ისევ უფ. დირექტორი ასწავლის გაკვეთილებს, ისევ ისრე როგორც გუშინ. საღამოსაც მაგდები არა ყოფილა რა. რისთვის? აი რისთვის: უფ. მასწავლებლებს ჰქონდათ დასაწერად მიცემული უშინსკის წიგნიდამ Руководство къ преподаванію по «Родному слову», რა არის ხმიური მეთოდა (звуковая метода) და ეს არ აღესრულებიათ. მიზეზი რა მოგახსენოთ. ეს კი ვიცი, რომ არ დაეწერათ. ამაზედა ილაპარაკეს ცოტა ხანს, ბოლოს სამღვთო სჯულის პროგრამმის შედგენაზე, მოჰყვნენ ბაასს. უფ. ივ. როსტომაშვილმა ჰსთქვა: ჩემის აზრით კარგი იქნება, ჯერ თავდაპირველად ყმაწვილებს იმ წმინდანთ გააცნობდეთ, რომელიც ადგილობრივ პატივცემული არიანო, მაგ. წმიდა გიორგის, წმიდა ნინოს, ან სხვასაო. ამაზედ შექნა ერთი ლაპარაკი, ასე რომ დღეს ამის თაობაზე არაფერი არ გაკეთებულა.

8 სეკტემბერი. სწავლა არა ჰქონდათ დღესასწაულის გამო. მასწავლებლები, უფ. დირექტორი სტრელეცკი და ქრისტიანობის აღმადგენელის საზოგადოების შკოლების ინსპექტორი უფ. ლიხაჩევი შეიკრიბნენ საოსტატო ინსტიტუტში, საიდამაც გასწიეს ობსერვატორიაში იქაურობის დასათვალიერებლად. აქ დახვდათ ობსერვატორიის დირექტორი ახოვანი, შეხედულობით ჯანმთელი და გათლილი კაცი, შეუძღვათ ამათ ობსერვატორიაში და აჩვენა ყველაფერი ყველას და თან უხსნიდა თითოეულის საგნის ძალას და მნიშვნელობას. გათავდა ყველაფრის გასინჯვა, მადლობა უძღვნეს უფ. დირექტორს და წავიდნენ თავიანთ სადგომზე.

9 სეკტემბერს. გაკვეთილი ასწავლა ახალმა მასწავლებელმა უფ. კატონიანცმა. გაკვეთილი კარგად წავიდა. რაც შეეხება საღამოს სხდომებს ისევ звуковая метод-ის განხილვას და განსაზღვრას მოუნდენ. ისევ იმ წმინდანებზე ჩამოაგდეს ლაპარაკი, რომლებზედაც წინა დღეებში ჰსთქვა უფ. ივ. როსტომაშვილმა. თან უფ. როსტომაშვილს ჰქონდა დაწერილი ზოგის წმინდანის ცხოვრება და იმათგან წაიკითხა წმინდა ვასილზე. ამით გათავდა ცხრა სეკტემბერს ჩვენის პედაგოგების მოქმედება.

ანანია

---

საგარეჯო, 28 აგვისტოს. (ივერ. კორრ.). ბუნებამ უხვი მოსავლის პირი მოაჩვენა თავის ხალხს, მაგრამ ისევ მალე უმტყუნა და პირი თვისი შეუცვალა მოჩვენებად. უნდა გეყურებინათ თუ რა სიხარულით მოელოდნენ მდიდარს მოსავალს. დადგა მკათათვე თუ არა, გაჰქონდა ბიბინი მინდორში ოქროს ფერს ყანებს, სათიბებში თივას, და ვენახებში უმანკო მტევნებს. მაშინ ყველა გლეხის შუბლზედ წაიკითხავდით, რომ ის ახლა თავისუფალია, მოიშორებს მოვალეებს და კიდევ იმდენი დარჩება მოსავლიდგან, რომ ორ წელიწადს ეყოს,—და გაჭირების შუბლზედ კი, რომლებსაც შარშანვე მკირათ ჰქონდათ პური და ღვინო ნასყიდი, იმ განზრახვით, რომ ომიანობა გაგრძელდება, მოსავალი ცოტა მოვაო, გაძვირდება სასმელ-საჭმელი და მაშინ ჩვენ ქაიფით გავყიდით მკირათაო, რადგან მწუხარების არმული ასდიოდათ, მაგრამ გულს იგრილებდნენ იმითი, რომ ის უხვი მოსავალი ისევ ჩვენს ხელში მოვაო, გლეხ-კაცობას არ აქვს შეძლება მოსავლის შინ შემოტანისა და ის მოსავალი ჩვენთანვე მოვა ფას-ნაკლებათ. ამიტომ ამათ გაჰკვეთეს კოდი პური მანეთ-ნახევრად, მაგრამ ამათთან ვიღა მიდიოდა, როდესაც დამზოგველის ამხანაგობის მაზანდით ისყიდებოდა ორ მანეთად. ამის გარდა ამათგან რაღას იყიდდნენ? ყოველივე რაც საჭიროა ცხოვრებისათვის, მოიპოვება ამხანაგობის დეპოში, იაფად. მაშასადამე ზემოხსენებული ფიქრი გაჭირების შეეცვალათ შავ ფიქრებათ, მაგრამ საცოდავს გლეხებსაც კი შეეცვალათ თავიანთი განზრახვა. „კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო," სწორედ ისე მოუვიდათ საქმე. როდესაც ჩამკეს ამ მუშის სიმკირეში (და ზოგმა კიდევ მოუმკალსაც გაანება თავი) ასტყდა წვიმები, ყანა მოსატანი დარჩათ მინდორში. ერთი კვირა გამუდმებით იწვიმა გაფიცხებულ თავთავებში, მესამე დღეს—გაჯეჯილდა. ამოდენა შრომამ და ხარჯმა ფუჭად ჩაუარა ხალხს. მოაქვთ გაჯეჯილებული ძნა, მაგრამ რა გამოდის? ორ ურემ ყანას გამოდის ხუთი ან ექვსი კოდი პური, ღივ გამოსული და გაალაოებული. თივებიც მწვად გაცელილი წვიმებისაგან მინდორში დაულპათ. ესეც არ აკმარა დალოცვილმა ღმერთმა, ვენახები დაუნაცრათ ისეთ ნაირად, რომ ამ ათს წელიწადში არას დროს არა ყოფილა ასე ძლიერ დანაცრული, მაგრამ ესეც გასაკვირველია, ერთს

ვენახს ნახავ, რომ სრულებით სალი და უვნებელია, იმავე ვენახის გვერდით ნახავ ვენახს სრულიად დანაცრულს და აოხრებულს. ამ მდგომარეობაშია მთლად ივერისხეობაზედ ხალხი და მამულები. ხალხი დაღონებული არის იმის გამო, რომ მოსავალი ბევრი იყო, მუშა-კაცი კი ცოტა არის, რის გამოც მოსავალი ვერ მოიტანეს დროზედ, მინდორში დაულპათ. მაგრამ უნდა გეცქირათ, თუ რა სიხარულს მიეცა ხალხი, როცა დაინახეს 23 აგვისტოს დილით მილიციიდგან დაბრუნებული მილიციონერები. დედები, მამები, ძმები და დები ესვეოდნენ გარს, ჰკოცნიდნენ და ჰკითხავდნენ იქაურს ამბავს. ხალხს აღარ ემჩნევა ის დარდი და მწუხარება, რაც აქამდინ ეტყობოდათ, ის თითქო გულში ფიქრობს, თუნდ სულ მშივრები ვიყვნეთ, ოღონდ ომი კი ნუღარ იქნება და შვილებს ნუ დაგვიკარგავთო. ამ მილიციის მოკრეფამაც დიდი ზარალი მოუტანა ხალხს. აივსეს ჯიბეები და უბეები მამასახლისებმა და მოხელეებმა, ბატონებო, მერე ისეთი დროც შეემთხვათ!...თებერვალში მამასახლისები და მოხელეები გამოსცვალეს, სხვები ამოირჩიეს და აქნობამდის ჯერეთაც არ გადუციათ ახლებისათვის. გამოცვლილი მამასახლისები კი რაც შეიძლებოდა ტყუტას ადენდნენ ხალხს და გასატყავებლად არ ინდობდნენ. ამ ბეგრების და მილიციონერების დროს საგარეჯოს მამასახლისზედ ამბობენ, ხუთასი თუმანი ბანკში შეიტანაო და რამდენი კიდევ შინ აქვს, ის სხვააო. წელიწად-ნახევარია რაც მამასახლისობა დარჩა კანდიდატობით და სახლში ხუთი კატა არა ჰყავანდა. ერთი გლეხი ჩიოდა, რომ ბევრის ურმები მოკრიფეაო, ზოგს ურემი გამოართვა, ზოგს ხარები და ბეგრით გააგზავნინა ოც-და-ათი ურემიო, ხალხს არ გამოგვიცხადა, თუ ხაზინიდან რამე ჯამაგირი იქნებოდა თვეში ურმებისათვისაო, კაცები თვითონ დაიქირავა და ჩვენს ურმებს გააყოლაო, სოფელმა კიდევ სამგზავრო ფულები მივეცით, ამასთანავე მივეცით ნება ვინიცობაა იქ ხარი მოუკვდეთ, კიდევ სოფლიდგან მოითხოვეთო. ხაზინიდამ გამოსული ფულიც თქვენი იყოსო. მამასახლისი გვარწმუნებდა, რომ ცოტა რამ ექნებაო, თურმე ნუ იტყვით მამასახლისს ჰსცოდნია, თითოეულ ურემზედ თვეში დადებული ყოფილა შვიდ თუმან-ნახევარი თუ არ მეტი ფული. მეხრეებთან მამასახლისს პირობა შეუკრავს, იმ ფულიდგან ნახევარი მეხრეებისა უნდა იყოს და ნახევარი მამასახლისს უნდა მისცენ. ამასთანავე მეხრეები იქ სოფლის საქონელს ჰყიდიან და მამასახლისს სწერენ დაგვეხოცაო; მამასახლისი კიდევ სოფელში აგროვებს საბადლოებს და გზავნისო. ამ მამასახლისისაგან ჩადენილი ოინების მეთვალ-ყურე არავინ არის და ხალხს გვატყავებსო. ასე ამბობდა ერთი ფარაჯაში გახვეული გლეხი, რომლის ერთი კამბეჩი გაუყიდნიათ და მეორეს ართმევდნენ და ეს გუბერნატორთან ჩიოდა ამაზე. ამ მამასახლისისაგან ჩადენილი ოინები ბევრია, რომელთაგანი „ივერიაში“ და „ტფილისის უწყებაში“ იყო გამოცხადებული, მაგრამ ამის შედეგი არ ვიცით...... ამისთანა საქმეს რასაკვირველია ყურადღებას მიაქცევენ, რადგანაც ამათის უწესობით სათემო უსიამოვნობა ხდება ხოლმე ხშირად. ხალხი დღე-დღეზე მოელის მის გამოცვლას, ყველა მაზრებში გამოიცვალნენ და აქ არ ვიცით, რათ არის შემდგარი საქმე?

ა. კაეთელი.

---

საგარეჯოდამვე გვწერენ: „ამ ოთხის თვის წინად მე და ჩემს ამხანაგს გვსურდა თევზი გვეყიდნა უფ. ალელოვისაგან „ივრის დამზოგველის ამხანაგობისათვის;“ გვითხრეს, რომ ალელოვი თევზს ჰყიდის თერთმეტ საათიდგან პირველს საათამდინაო. მივედით თერთმეტს საათზედ, კარები დაკეტილია. ვიდექით კარგა ხანს, ბოლოს კიბეზედ ბაჯ-ბაჯით ჩამოვიდა უფ. ალელოვი, გაგვიღო კარები; შევედით დუქანში, სადაც სხვა და სხვა ჯურის თევზი უწყვიათ. ჩვენ ვუთხარით, ფასი რიგიანი გამოგვართვით, ოღონდ კარგი თევზი მოგვეცით, რადგანაც ივრის დეპოსათვის გვინდაო. რასაკვირველია, უბძანა ბიჭებს, კარგი თევზი მიეცითო. თურმე ნუ იტყვით, ზემო პირად კარგი თევზი ჰლაგებოდათ და შემდეგ მდარე. სასწორზედ დაალაგეს, მოაყარეს და მოაყარეს დამპალ-დუმპალი. შევნიშნეთ ეს და მოვახსენეთ უფ. ალელოვს, რომ ძალიან მდარე თევზს გვაძლევდნენ. ბატონებო, ერთი ასეთ ნაირად გაწყრა, რომ გულები დაგვიხეთქა: „ვა! ვინა ხართ, საიდამ მოსულხართ? გამეცალენით! თქვენზედ მე თევზს არა ვყიდი.“ ბიჭებს უბძანა, რომ თევზი აღარ მოეცათ. ბიჭებმა თევზი აალა-

გეჲ სასწორიდამ. რას ვფიქრობდი მაშინ, ის მარტო ღმერთმა იცის. სხვა რა ღონე იყო, უნდა მივფერებოდით იმ მძლავრს კაცს იმ ანდაზის ძალით, რომ „მეფეარს რო ჯოხი აუქნივოო, უფრო მოგესევაო.“

— საგარეჯოდამე გვწერენ: „შარშან გვალვის დროს სოფელს ნინო-წმინდაში დაუშრათ სასმელი წყალი და ხალხი სასმელს წყალს საგარეჯოდამ ეზიდებოდა. ბოლოს რომ გაუჭირდათ, ხალხმა გადაჰსწყვიტა ივრის პირზედ გადასახლება სოფლობრივ. ამ დროს აქ მგზავრად შეემთხვა მოქალაქე დიმიტრი ქრისტესიასძე ჩიქოვანი, ნახა ხალხის ასეთი გაჭირებით ცხოვრება, იცოდა ისიც, რომ ხალხი ივრის პირას ცუდის ჰავისა გამო სრულიად გაწყდებოდა, აღუთქვა, ნუ გადასახლდებითო და მე ცივის მთიდამ ჩემის ხარჯით წყალს მილებით ჩამოგიყვანო. ჰსთქვა და ეს აღთქმა შეუსრულა კიდეც ამ კეთილმა კაცმა. ოთხის თვის შრომის შემდეგ, ამ აგვისტოს 25-ს დღესა წყალი ჩამოიყვანა, მიიწვივა მთელი სამღვდელონი საგარეჯოსი და ნინო-წმინდისა, გადაახდევინა პარაკლისი და ხალხს ჩააბარა შიგ სოფელში ორს მილში გამომდინარი წყარო, წყარო ცხოვრებისა. ეს უფ ჩიქოვანი, როგორც გვიცან, სწორედ სათემო კაცი ყოფილა; ეს სხვებისაგით, არ დაჰკანკალებს ფულებს; ეს ჰფიქრობს, გლეხის მარჯვენით მომეცაო, გლეხის მარჯვენასვე უნდა მოხმარდესო რაოდენიმე ნაწილი ჩემის ქონებისაო. კაცის ესა ყოფილა და ქუდიც მას ჰხურებია, ჩვენის ანდაზისა არ იყოს.

---

**ქართლი**, ფრონისხეობიდამ. („ივერიის“ კორ.). ჯვარი დაიწერა რაღა ჩვენზე საქონლის ჭირმა! კი აღარ გვშორდება და, მა რა ეშმაკებია თუ არა!? მეორე ისეთს დროს აარჩევს ხოლმე ეს ულმობელი, როცა აუცილებელს საჭიროებას შეადგენს ჩვენთვის მუშა საქონელი. გაცხარებული კალოობაა და ხან წაბლა ხარი გადაგვიბრუნდება და ხან ლვინიაი. მკითხველო, იმდენი შენ გაიმსე ყოვლის სიკეთით, რამდენიც კაკალი ცრემლი გლეხმა გადმოჰყარა ამ ჭირიანობის დროს! ჰხედავ, ამ ფოლადს გაუტეხარს გლეხსა, ამასაც კი ცრემლები ჰსცვივა! აქედგან ცხადათ წარმოიდგენ, თუ რა გულის დამწველია გლეხისათვის საქონლის ჭირი, რაკი ამ გამოწკეპლილს, ფოლადიდგან გამოქანდაკებულს აგებულებასაც ცრემლებს აყრევინებს, დავიჯერო ამირანი მოცრემლე დაინახო და გული არ შეგიწუხდეს!? აგრე მიწუხდა და მიკვდებოდა გული მეც, ჩჩვილს ქმნილებას; ვილეოდი და ვდნებოდი უძლურის შველისადმი და მოუხერხებელის იმედის მიცემაშიაც კი. როგორ არ გაივსება გული სისხლით, როცა, მაგალითებრ, ამ ნაირს სურათს უცქერი: დედა-ბერი, რომელსაც მოუკვდა რვა თუმნიანი კუდ-ვარდა ხარი, წამოცუცქულა ერდოსთან, სუსტი, უჯანო, შემწვარის მაჯით დაყრდობილა მუხლზე და გაიცქირება შორს, შორს ცის კამარას უყურებს. ამას თითქო უნდაო გაარღვიოს იგი თავის ნაღვლიანის თვალით, რომ იქნება იქ მაინც იპოვოს ღმერთი, დაუჩოქოს და „უმოწყალოდ“ შეევედროს შველას, აკმაროს უბედურებათ თავის სიქვრივსაოხრე და მოასწროს ერთად ერთის ვაჟი-კაცის შვილის დაქორწილებასა. დაუნდობელი სტიქიონი ქარი ზუილით მიჰქროდა და ერდოს ბოლთან მიაქროლებდა ღრმად ჩაფიქრებულის დედა-ბერის სევდა-ნაღველსაც.

მადლობა ღმერთს, დიდხანს არ გასტანა ჩვენმა ასრედ უიმედოთ შევიწროებულმა მდგომარეობამ და ბოლოს გვეღირსა საქონლის ექიმი ვეტერინარი. ცხადია, თუ რა უსაზღვრო უნდა ყოფილიყო ჩემი სიხარული, როცა ეს გავიგონე, მაგრამ ეჰ, ჩვენ კი ჩვენი დაგვემართა და! ვაი, დედის ჩემის ღმერთს! იმისთვის ვიწურეთ ოფლი მკაში, იმიტომ ვმკრებოდით გველის ხვრელში და ვატრიალებდით ნამგალს პწკრიალა მკათათვის ჰკარში, რომ ამ მუსთალს ბედს ასე მტკივნეულად ჩაეკრა ჩვენთვის თავში, მზა-მზარეული ჭირნახული გაულეწავი დაგვრჩენოდა და დასამალ-ღორეთ გაგვხდომოდა!.... ეტყობა ჩვენთვის არ გათენებულა თორემ, თუ არა გჯერა მოგახსენებ. მობძანდა ვეტერინარი ერთს ჩვენს სახედარით სავსე სოფელში და გასცა ბძანება, რომ ჭირით გადაბრუნებული საქონელი მიწაში ემარხათ გაუტყავებლივ. დასამარხავი ადგილი ამორჩეული იყო იქვე სოფლის ცხვირ-წინ. ეჭვი არ არის, რომ ჩვენს ვეტერინარს ზედმიწევნით ჰსცოდნია ფიზიკა. ბოსლები სუფთათ შეინახეთო და კირში არეული წამლით გალესეთო—ჩვენი ეკონომიური ცხოვრებაც კარგათ ჰსცოდნია ამ ვეტერინარს, მაგრამ ამისი რა ბრალია „უფროსათ რომ ვირი გყავანდეს, აცი არ უნდა უთხრაო“.

ეს არაფერი. ეს მირტკბილაა და მირმწარესაც ეხლავ მოგართმევთ. თურმე ეს ვეტერინარი შესულა ერთს სოფლის ძველ ციხეში და იქ უპოვნია რაღაც საქონლის ძვლები. მივარდნია სოფლის მოხელეებს, რომლებიც თან ახლდნენ თურმე და უღერებს ჯოხს დასარტყმელად. ხან იქით იბრიძებიან ეს გლეხები და ხან აქეთ, ერიდებიან ვეტერინარის ჯოხსა. ერთის სიტყვით იგივე სურათი გამოვიდა, რაც „კრებულის" და „მნათობის", (საუკუნოთ იყოს მათი ხსენება) წარმომადგენლებთ შუა.

— ბიჭო, იმ ოჯახ-დაქცეულს ნეტა დაერტყმას მაინც, კინაღამ დავიღრიე შიშით, ხარხარებდა მამასახლისი, როგორც „ლინნეის" გადარჩენილი შაგირდი.

ერთი ბძანება კიდევ იყო: უნდა მოეკრიფნათ ჭირით დახოცილი საქონლის ტყავები და დაეწვათ. არ ვიცი ნამდვილად, ეს ბძანება საიდგან გამომდინარეობდა, ვეტერინარის მეცნიერულის დავთრებიდგან, თუ სხვა რამე საეჭვო წყარო ჰქონდა, ან ვსთქვათ ჯიბის სისუსტე, ან პორტმანის დაცარიელება. საქმე კი ასე იყო: მოვარდა ერთს დილას იასაული თავის საზიზღარის მათრახით და დაუწყო ტყავებს კრეფა, ვითომ და დასაწველად. საბუთად მოჰყავდა შემდეგი საგანი: „ტყავი არ უნდა შეინახოთ ჭირიანის საქონლისა, ძრიელ მავნებელია. ერთს საჩხერელს კი ეყიდნა სურამში საქალამნეები ჭირიანის საქონლისა და გადაეტანა საჩხერეში. როცა თურმე დაალბო საქალამნეები გეჯაში ამოსასხმელად, მივიდა ერთი ხარი, დაეწაფა ამ გეჯის წყალსა და დალია. მაშინვე გაცივდა ეს ხარი, გაბერა და მოკლა. ახლა დაერია თურმე ჭირი მთელს საჩხერის მაზრას და სულ გასწყვიტა საქონელი". გლეხებს თუმცა წელი ჰსწყდებოდათ და ეზარებოდათ ტყავების დაწვა, მაგრამ მაინც გამოჰქონდათ და აგროვებდნენ იასაულის წინა. საუბედუროთ ერთს გლეხს აკი დაემალა ტყავი საბძელში, კაი ტყავიც იყო და ღირდა ხუთი-ექვსი მანეთი ფული. იასაულმა შეისეირა საბძელში და ბზიდგან კი გამოათრია ტყავი. მისდგა გლეხს ის ურჯულო მათრახით და შიგ თავ-პირში გააქვს შხუილი საზიზღარ იასაულის მათრახს. — მინამდის არ დაანება თავი, ვიდრე იმისმა გასათხოვარმა დამ და დედამ ტირილი და ჭკვითინი არ დაიწყეს. მივვარდი მე იასაულს, დავუწყე ხვეწნა და თავი შევიმაგრე, თორემ ის იყო ორთითი უნდა დამეშვა თავში. ჩემს კითხვაზედ, თუ ვინ მისცა იმას ნება გლეხების ცემისა, მან ამოიღო წითელი ჯვარიანი სამკლაური „წითელი ჯვრის" საზოგადოებისა, როგორც ცემის დასტურის ნიშანი, და მიჩვენებს. დავემუქრე ჩივილს და ვკითხე გვარი, მაგრამ ვერას გზით ვერ ვათქმევინე. გლეხებმა ბოლოს დაუწყეს ხვეწნა ტყავები გადაგვინარჩუნე როგორმეო დაწვასაო. ეს ამაზედ დათანხმდა, ერთი ურემი კირი მოატანინა და ვითომ და რაღაც წამალში არეული წაუსვა ტყავებს და დაუბრუნა პატრონებს. თავის გასამრჯელოში მოკრიფა კომლზედ ორ-ორი ჩანახი ქერი და გასწია.

ასე, ჩემო კარგო მკითხველო. ვაის გავექეცით და ვუის შევეყარენით, ვფიქრობდი მე, როცა ეს წუწკი იასაული მოგვშორდა. ისევ ჭირი გვერჩივნა ამ ცემა-ტყეპასა. დასწყევლოს ღმერთმა, ლამის ყოველი კეთილი საქმე ჩვენ, უბედურებს, ვაით და ვუით არ გადაგვიქცეს! იმას მოგახსენებთ, რომ ეს ასსენიზაციაა, თუ დეზინფექცია სულ მათრახებს გვიტყაპუნებენ ზურგზე, საქონლის ნეხვი სოფლიდგან გარეთ გაიტანეთო. „რა ვიცი ეს ოხერი, მეუბნებოდა ერთი გლეხი; რაც გამოვიზარდე ზამთრობით სულ გომურში ვწევვართ, მე იმან ვერა დამაკლო რაო და ამ გარეთ რომ ეყაროს, მე რას დამაკლებსო. ვიღუპები კი კაცი ეხლა ამაზე მოცდენითა და!" იმისი არ იყვეს: პური მოგვდის; ჩვენი სიცოცხლის „ვაი-ვაგლახი" ეს არის და, ავიღებთ ხოლმე და ჩაუშვებთ ორმოში ას კოდობით. დეეხვევა ხოლმე შავი ნაბადივით ტალი და ერთი ურემი პურის მაგივრათ ერთი ურემი ტალი ამოგვაქვს. ოხ, ღმერთო! განა ასე შეიძლება კაცის . . . . . და გაიდიოტება, როგორც ჩვენა ვართ გაბატიტვიხებული? ერთის სიტყვით — ამას კოდელ-ნინო, აღარ უნდა, რომ ჩვენ ვართ საწყალნი, და უმადო . . . . . . . ქმნილებანი.

გ. გოდორია.

---

**ქუთაისი**, 23 მარიამობისთვე. («ივერიის კორრესპ.). ერთიანი საქართველოს სამეფოსი უწარჩინებულეს ქალაქთაგანი, შემდეგ ჟამთა ბრუნვის და ისტორიულ უკუღმართ მიზეზების გამო, იმერეთის სატახტო ქუთაისი, ეხლანდელის ქუთაისის საოლქო ქალაქს ქუთაისს ერთის კვირის განმავლობაში 13-დგან 20-ს მარიამობისთვემდე უეჭველად უნდა მიეპყრო აღმოსავლეთის საქმით გახალისებულ ევროპის სახელმწიფოთა ყურადღება, იმ

რუს-ოსმალოს რწმუნებულთაგან შემდგარი შერეული კომმისიის წვალობით, რომელიც შემდგარია ოსმალთაგან რუსებისთვის ბათუმის და მისის მაზრის გარდაცემისათვის მოსალაპარაკებლად და დაბოლოებითის ვადის დანიშნვისათვის, და ამ ხნის განმავლობაში იმყოფებოდა ქუთაისში. ამ კომმისიაში რუსეთის მხრით რწმუნებულნი არიან: კავკასიის ხელმწიფის მოადგილესი თანაშემწე თ. სვ. მირსკი. ღენ.-მაიორი თ. ტრუბეცკოი, აქეთა-კავკასის და ოსმალეთის საზღვრების ინსპეკტორი თ. გ. გურიელი და ბათუმში ყოფილი რუსეთის დესპანი—ჟუდინი. ოსმალეთის მხრით არიან: ყოფილი ჯარის ფაშალიყის მმართველი ნეად-ფაშა, სადიპლომატო ნაწილის მოხელე მირალაი (colonel) ალი-ბეგი და სეკრეტარი ოსმან-ბეგი.

კომმისიის სხდომები ხან დღე გამოშვებით ხან დღე-დღეზე იყო ხოლმე. ერთის კვირის შემდეგ პირველის სხდომისა, ე. ი. 20-ს, კომმისიამ მოსპო თავის სხდომები და ოსმალეთის რწმუნებულნი იმ დღესვე გაუდგნენ თავიანთ გზას. მეორე დღეს დილით რუსეთის რწმუნებულნიც საგანგებო მსვლელით წავიდნენ ოზურგეთში და იქითგან ბათუმში აპირობენ მიბძანდნენ. ერთი მათგანი თ. გ. გურიელი სამი დღის წინად წავიდა უეცრად ქობულეთისაკენ....

რადგანაც რწმუნებულთა სხდომების განაჩენნი ჩვენთვის საიდუმლოდ არიან დაცულნი და მაშასადამე ჩვენ იმათზე ვერარას ვიტყვით. ისევ შევუდგეთ „ფაშების აქ ყოფნის“ გარეგანს აღწერილობას. სიტყვას გწყვეტ და უნდა მოგახსენოთ, რომ ამ რუს ოსმალოს წევრების აქ ყოფნას ქუთათელებმა დაარქვეს „ფაშების აქ ყოფნა,“ და სოფლელებმა „ფაშების ქუთაისს ჩამოსვლა.“ ეს „ყოფნა“ და „ჩამოსვლა“ თითქოს ახალს ქორონიკონად შეიქნა ჩვენის ქუთაისის ოლქისთვის. ეხლა რამე რომ ჰკითხოთ ქუთათელს, იგი უთუოდ მოგიგებსთ: „ეს მოხდა (ანუ იყო) ფაშების აქ ყოფნის ამა და ამ დღეს (ანუ ამდენი ხნის წინად ანუ მერმე) სოფლელებიც ამ რიგადვე გიპასუხებენ, მხოლოდ „აქ ყოფნას“ მაგივრად „ქუთეისს ჩამოსვლას“ გეტყვიან.

კომმისიის წევრთა, ქუთაისს შეყრის მეორე დღეს თ. სვ. მირსკიმ სთხოვა დარბაისელს გ. დ. რომ მას ეკისრნა ოსმალთ რწმუნებულთათვის მასპინძლობა. ბალების და C-e კეთებაში დახელოვნებულმა დ-მ მეის გაარიგა საქმე და შემდეგ დღესვე აქაურ კლუბში გამართული იყო ვვარიანი ვახშამი და მის წინად ცეკვა, ფოთიდგან ამ შემთხვევისთვის განგებ გამოწერილის მუსიკით. ამ შემთხვევისთვისვე განგებ გამოწერილი იყო ზუგდიდითგან ერთი ლამაზი ქალი... ამ საღამოს დაესწრნენ ორივე სახელმწიფოს რწმუნებულნი გარდა ნეად-ფაშისა, რომელიც მაშინ მუცლის ტკივილით იყო ავად. დრო მხიარულად გაატარეს განსაკუთრებით ალი და ოსმან ბეგებმა, რომელთაც პოლკა-მაზურკის, მაზურკის და კადრილის ცეკვით არ შეუსვენიათ. ამათ ისე მოსწონებოდათ აქაურის ქალების სილამაზე, რომ დაბრუნებისამებრ შინ უთქვამთ ნეადისთვის, „ეგ რა დაგემართა, რომ არ წამოდიო? იმისთანა ლამაზი ქალები გნახეთ, რომ სამოთხის გურიებს ისე ჩააჩრდილებენ, როგორც მზე მთვარესო. ვეტყობა და კიდეკაც დავრწმუნდით, რომ მოგვსულვართ ოდალისების *) სამშობლოშიო.“ ისე აუვსეს თავი ქალების სილამაზის ქებით ნეადს, რომელიც 52 წლ. ნაკლების არ იქნება, რომ იგი მეორეს დღესვე ჩაჯდა ფაეტონში და მივიდა სადარბაზოდ თავად-აზნაურთა წინამძღვართან და სთხოვა, ერთი შემთხვევა მომეცაო აქაურის ქალების ნახვისაო. თავ.-აზნ. წინამძღვარმა მეორე დღესვე გამართა ნადიმი, რომელზედაც მიწვეულნი იყვნენ კომმისიის ყველა წევრნი. აქაც მხიარულად გაატარეს დრო და ამ საღამოს ოსმალთ რწმუნებულებმა დაიმკვიდრეს სახელი „მანდილოსნების კავალერებისა.“

მირალაი ალი-ბეგმა, სხვათა შორის ამ საღამოზე უთხრა ერთს ადამიანს: «...როდესაც ჩვენ ციხისძირის გასამაგრებლად ვჭთხრიდით სანგრებს, რამოდენიმე ალაგას, სადაც უფრო ღრმად დავგირჩა ნათხარი, ვნახეთ ქართველებისაგან უძველეს დროებში მაგარი ქვით-კირის კუბოთი ჩამარხული მცხედრები, რომელთანაც კუბოშივე იდვენ სხვა და სხვა ნაირი ძვირფასი ნივთეულებანი. უმეცარი მთხრელნი, უფრო-

---

*) ოდალისი—წარმოსდგება თურმე სიტყვითგან—ოდიში (სამეგრელო) რადგანაც ოსმალთ ჴარემთათვის ქალები ოდიშითგან გაჰყავდათ და ყველანი ძლიერ ლამაზნი იყვნენ, მათი ვინაობა—ოდალისი ოდიშელი დაარქვეს ყველა ლამაზებს.

ავტ.

სების დაუკითხავად ცდილობდნენ კუბოების აღებას, მაგრამ როდესაც ჰნახეს, რომ იგინი ძალიან მაგრად არიან შეერთებულნი სხვა ნაწილებთან, წერაქვით ამ-ტვრევდნენ, ნივთეულებას მალვიდნენ და გვამებს მტვრად აქცევდნენ....“ „აი ერთი იმ ისტორიული ნაშთ-თაგანი, რომელიც ძლივს ჩავიგდე ხელში“ და ალი-ბეგმა უჩვენა ძველი ქართული ვერცხლის ფული, რო-მელზედაც იქ დამსწრეებმა გაარჩიეს მხოლოდ ასო „ა“....

ერთმა სანდო კაცმა მითხრა, ვითომც რუსეთის ერთს რწმუნებულს ეთქვას, რო «ჩვენ ჯერ-ჯერობით ახლად შემოსაერთებელს საქართველოში შინაგან საქ-მეებში სრულიადაც არ გავერევითო, მხოლოდ ჯა-რები გვეყოლება შიდ დაყენებულიო...“ . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

დენერალი ოკლობჟიო იწერება, რომ ექვსი ბეგი მოვიდნენ ჩემთანო და რუსეთის ქვეშევრდომობის სურვილს აცხადებენო. დერვიშ-ფაშა იმიტომ აგვია-ნებს ბათუმის დაცლას, რომ ჰსურსო, რაც შეიძლება მომეტებული ქობულეთლები გადაასახლოსო. ვისაც არ ჰსურს, იმას იძულებულს ჰხდიან გადასახლდესო.“ გარდა ამისა გუშინ მოვიდა ამბავი, ვითომც რუსის ჯარს უკვე დაეკავოს ოსმალთაგან მიტოვებული ცი-ხის-ძირი.... ვნახოთ!

გურიის ოთხივე დრუჟინების დაშლას უკვე მიჰ-ყვეს ხელი.

ი—ა ი—ძე.

---

**ოზურგეთი.** („ივერიის“ კორრესპ.). ერთი სადრტვინ-ველი ამბავი მოხდა წასრულს ორშაბათს აქანაი, და ახლა, მსურს იგი გაზეთაში დასაბეჭდად მოგწერო, ბატონო მეგაზეთევ, მარა კაი ლექსის ნაწყვეტისა არ იყოს ისე მღელვარედა ვარ რო

.....სული მიწუხს, გული მიტირს

და ამიზა უკაცრავად ნუ ვიქნები პაწაი გონჯი ნაწერი რო დარჩეს.....

ჩემს საქმიზა ჩამოველ აჭარითგან ოზურგეთში. ორშაბათი იყო ღამის პირველის საათ-ნახევარი იქნე-ოდა. მასპინძელმა მითხრა, მეზობლებს ცოფიანი მგელი მიუხტნაო.... რასაკვირველია მაშინათვე ბოლო-ყაიშა შე-მოვირტყი, ფიშტო გავირჭვე და გავშპი იქითკენ საით-კენაც მოისმოდა ყვირილი „დეიჭი მგელიო“.

გზაზე ვსთქვი: მო, ჩემს ჩაუქ დოსტს თავ. ი. ნა-კაშიძეს გაურბენ.... ჩავურბინე მისს კონახს და ვკითხე.. მითხრეს ი—ი— მდევრად წავიდაო....

მივირბინე ყურყას პირად.... ვაი წავხდი! მე რომ სანახავი ვნახე, იმფერი ჩემმა სისხლის მძებნელმა ჰნა-ხოს.... ჩემი ჩაუქი დოსტი თავ. ი. ნაკაშიძე თავ-პირ დასისხლიანებული მოდიოდა კონახისკენ.

— აი, ძიავ, რა დაგმართია? ვუთხარი.

— ცოფიანმა მგელმა მიკბინაო.

— დედავ! მაი კრინკაის თოფი ახლა რო გიჭი-რავს ხელში, მაშინ სა გქონდა?—ვუთხარი.

— ძიავ, მიმტყუნაო......

მეტი არაფერი მიკითხავს. საბრალოს ღამის ორი საათიდამ დილის ცხრა საათამდე სდიოდა სისხლი. მა-შინ კი აქიმმა რაღაცა ლაპისით დაუწვა ნაკბენი ადგილი და სისხლი შეწრტა.

იმ ცოფიან მგელმა იმ ღამეს უმალ თურმე ყაზახ-რუსებს მიუხტნა, რამდენიმე ცხენები და ყაზახიც დაჭამა. იქითგან რო სდიენ ნაკაშიძის ეზოს ჩამოურბინა. ამან, ბატონო, ყვირილი რო გაიგონა, ფირალი ეგონა და ჩა-უცმელი თოფით გარია მდევრებში.... ბედკრულს კი არ უკითხავს ვის ჰსდევდნენ.... ქესკინი ბიჭი იყო და რაღა თქმა უნდა სხვა მდევართ გაასწრო.... ეგონა ფირალს დავეწევიო, იგი კი არა თუ ზე კაკალ თავზე წააწყდა ცოფიან მგელს. მგელმა ესტაკა გულზე.... ახლა ამას ეგონა ფირალიაო და დაეჭიდავა. რო იგრძნო, ეს კაცს არ ჰგავსო, უშვა ხელი და დაუკრა თოფი, მარა იმ დედა-გაქცეულის გაკეთებულმა ქარ უმტყუნა!.... მგელმა მეო-რედ ესტაკა და უკბინა თავზე, წამოვიდა სისხლი ნაკა-დულივით. მაშინ ნაკაშიძემ იბრუნა თოფი და კონდახით სდვა ზურგზე მგელს. მგელმა გარეტიანდა და იქვე წა-იქცა. ნაკაშიძემ ამას ვერ შეჰხვდა და წინ მირბოდა აგებ დავეწიოვო. სხვა მდევრებმაც თავზე გადურბინეს შეუმჩნე-ველად..... მიშპიან და მიყვირიან „უფთხილდით, ცოფია-ნი მგელიაო“. ამ დროს მგელმა უკანიდამ ჩამოუარა.....

ამ დევნილ მგელს წინ ყაზახ-რუსი შეეჯახა შუკაზე, იგიც დაკბინა.... მერე მწყემსებს შეუვარდა ჯოგში, იქ ერთი ხარი დაჰკბინა, ამ დროს მდევრები დაეწივნენ და

გაიქცა. იქითგან სალდათებს მიუხტნა და ერთი სალდათი დაჭამა. აქ სალდათებს შეეჩერებინათ იგი ცოფიანი მგელი და ამ დროს სხვა სალდათებმა წამოეშველეს და ხიშტებზე ააგეს.

ამისთანა ბელასინი ჩაიდინა, ბატონო მეგაზეთევ, ერთმა ცოფიან მგელმა ამ ოზურგეთში და ახლა რას ბძანებთ ამ ქალაქის ღამის გუშაგებზე და დაკბენილებზე? გაეწყობა, მიავ, მათ რამე წამლობა? უბნობენ, ბატონო ქართლში ციციშვილები არიანო, ხონში წივწივაძეო და სამეგრელოში კიდევ ვიღაცაებიო და იმგენმა იციანო ცოფიანის ნაკბენის მორჩენაო, მარა, თქვენ უკეთესად მოგხსენდებათ და იმედი გვაქვს, მიავ, გვასწავლი წამალს.... ხალხის დამრიგებელნი ვართო უბნობთ და.

აჭა ბურთი და მოედანი და სიმაგრეი მკლავისა.... ჩემს დოსტს, ბატონო, ვიღაც მკითხავი ქალი წამლობს, ქუთაისში, რომელიც დაშაქრულ წყალს ასმევს, რაღაცას უდღოცავს და ერთსაც ლამაზად ყურის ძირში სთხლეშს თურმე.

ესაა მიავ წამლობა!?

ოსმან-მამულიძე.

23 მარიამობისთვე 1878 წ.

---

**საგარეჯო.** („იგერ. კორრ.“). ივრის დამზოგველ ამხანაგობის მაღაზიაში ვაჭრობა თან-და-თან მატულობს; ისე დღე არ გავა, რომ ხუთ-ექვს თუმნის ვაჭრობა არ იყოს ორივე განყოფილებაში, როდესაც მთელს აქაურს დუქნებში სულ არ იქნება ვაჭრობა დღეში ხუთის მანეთისა. ეს რისგან არის რომ ხალხი, დაჩვეული იმათთან ვაჭრობას, იმათ სრულიად აღარ ეკარება? ალბათ გრძნობს დეპოს მნიშვნელობას. თუმცა დახლიდრები სხედან მთელი დღე დუქნების კარებში პირ-დაღებულნი და ვისაც დაინახავენ დეპოში მიმავალს, სცდილობენ თავიანთ დუქანში მიიწვიონ. ეუბნებიან, იქ გატყუებენო, ყველაფერი ცუდი აქვთო და ძვირათაც აძლევენო, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევენ და მიდიან დეპოში. თუნდაც შევიდეს კაცი ამათ დუქანში რას ნახავს? ორი პატარა შაქრის ნაჭერი უძევთ შუშაში, რამდენიმე წლისა სრულიად დაობებული და გაფუჭებული. დაინახავს ოროოდე გირვანქის ტოლა ხილს, თავიანთ ხელით ჩამოსხმულს ქონის სანთელს, უბრალო შავს, აგრეთვე თავიანთის ხელით გაკეთებულს საპონს, ღვინოსა და არაყს, ისიც წყალნარევს. ამისათვის სომხებს ჯავრი მოსდიოდათ, რომ იმათთან აღარ მიდიოდა მუშტარი, და ცდილობდნენ, როგორმე დაკეტილიყო დეპო, მაგრამ ბოლოს დარწმუნდნენ, რომ დეპო მაგარ საძირკველზედ არის დადგენილი და ვერას დააკლებენ თუნდ ზარბაზნები დაუშინონ. შეაგროვეს რამდენიმე პირთ ცოტაოდე ფული და მოიტანეს საქონელი, ზოგი ფარჩა და ზოგიც საწვრიმალო და დაალაგეს ერთს დუქანში, დეპოს ქვემოთ საითკენაც უფრო ბევრი ხალხი არის დასახლებული, და ამ დუქანს დაარქვეს დეპო, როდესაც დუქნებშიაც არ ითვლება. პირველს დღეს კი, როდესაც გააღეს, ცოტაოდე ვაჭრობა ჰქონდათ, რადგანაც ხალხი მიდიოდა სანახავათ, მაგრამ ეხლა სრულიად აღარა აქვთ ვაჭრობა. ამათი ფარჩა რომ ნახოს კაცმა გაუკვირდება, ერთს თოფს ვერ ნახავს მთელს, სულ ნაჭრები ულაგიათ. არ ვიცით რათა, მაგრამ ამის მიზეზს სხვას ამბობენ..... ხალხს ატყუებენ მალე მოგვივა კარგი საქონელიო, მაგრამ სად არის ისევ ის უწყვიათ. ამ დღეებში ერთი უცხო სოფლელი თათარი წამოსულიყო სავაჭროთ, ამათ დაეჭირათ ძალით და შეეყვანათ თავიანთ დუქანში, რადგანაც იმათი ნაცნობი ყოფილიყო. ევაჭრნა ზოგიერთი რამ და ერთი რაღაც არა ჰქონოდათ იქ, და მოვიდა ჩვენს დეპოში. მართალია, ზოგი დეპოს ფასათ მიეცათ და ზოგი მეტათ, მაგრამ დეპოს საქონელს და მათს საქონელს შორის დიდი განსხვავება იყო. ამ თათარმა ბევრი ინანა, მაგრამ რაღას უშველიდა, დაიფიცა, რომ არაოდეს აღარ მივა იმათთან სავაჭროთ. დეპოში კიდევ ის არის კარგი, რომ დახლიდრებს არ შეუძლიანთ მეტ-ნაკლებად გაყიდვა, ყველა საქონელს ფასი დანიშნული აქვს გამგე კომიტეტისაგან და ამ ფასად უნდა გაჰყიდონ. მაგრამ იმათ დუქანში ესრე არ არის. ბევრჯელ ორ-შაურიან ჩითში ხუთ შაურსართმევენ და ამითი ხალხს ატყუებენ. ამბობენ, მეორე დუქანსაც აღებენო, დეპოს მეორეს მხარეს, რომ მუშტარი ყველა მხრიდან დაუჭირონ დეპოს, მაგრამ ხალხი ისე ნათლად ჰგრძნობს დეპოს მნიშვნელობას, რომ ჯაჭვითაც რო დააბან სხვაგან არ იფიქრებს ყიდვას.

* *
*

წელს თუმცა მოსავლისათვის კარგი გაზაფხული იყო და კარგს მოსავალს მოველოდით, მაგრამ ზაფხულმა გააფუჭა, ყანები მინდორში დალპა ავდრებისაგამო და ვენახები დაინაცრა. მოსავლისათვის ხომ ცუდი ჰავაა,

მაგრამ ხალხისათვისაც მავნებელია. ეხლა ავათ-მყოფობა ჩვენში ძალიან არის გახშირებული, (უფრო ციებ-ცხელება) ისე კაცს არ შეხვდებით, რომ თავი არ ჰქონდეს შეხვეული, ფერ წასული და დაღრეჯილი არ იყოს. წამლებს ყიდულობენ ივრის დამზოგველ ამხანაგობის მაღაზიაში, მაგრამ მარტო წამლით რა იქნება, თუ ექიმიც არ ეყოლებათ. ამიტომ ხალხი ძალიან შეწუხებულია უექიმობისაგამო. საუბედუროდ არ არიან ისეთნი პირნი, რომ ამ საქმეს მიაქციონ ყურადღება. თუმცა ზოგიერთნი მოწადინებულნი არიან ექიმის მოწვევისათვის და ფულსაც სწირავენ, მაგრამ ეს რა გახდება, ფული ბევრი იქნება საჭირო, ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი დამზოგველი ამხანაგობა, ესეც თავის მხრით სწირავს მა კეთილს საქმეს რაოდენსამე ნაწილს წმინდა მოგებისას ყოველ წლივ. ეს აზრი თან-და-თან მკვიდრდება და იმედი უნდა გვქონდეს, რომ საქმე ადვილად აღსრულდება თუ ერთმანეთში თანხმობა და შემწეობა იქნება, ამიტომ ვთხოვ ვისიც ჯერია მიაქციოს ამ საქმეს ყურადღება და უშველოს მალე ჩვენს შეწუხებულს ხალხს.

ნიკ. ქურდოვანიძე.

2-ს ენკენისთვეს, 1878 წ.

---

## საპოლიტიკო მიმოხილვა

9 სეკტემბერს (ჩვენებურად 28 მარიამობისთვეს) გერმანიის ახალმა რეისსტაღმა იწყო თვისი მოღვაწეობა. პირველ სხდომაში, რომელსაც სამოცზე მეტი დეპუტატი არ დასწრებია (უმეტესად კონსერვატორნი), გრაფ შტოლბერგმა წაიკითხა შემდეგი სამეფო სიტყვა:

„პატივცემულნო ბატონებო! მისმა იმპერატორისა და საკოროლო უმაღლესობამ, გერმანიის იმპერიისა და პრუსიის მემკვიდრემ *) მომანდო მე რეისსტაღის სხდომის დადგინება. უკანასკნელ სესსიის**) გათავების დროს გერმანიის ხალხი დიდად შეწუხებულია იმ უბედურებით, რომელიც შეემთხვა იმპერატორს. რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ ესროლა დამბაჩა სახელმწიფოს მოთავეს, და ამ შემთხვევაში კი უბედური შედეგიც მოჰყვა. ღვთის განგებამ ერთხელ კიდევ დაიფარა იმპერატორის სიცოცხლე; მაგრამ მძიმე დაჭრილობის გამო მისმა დიდებულებამ სახელმწიფო საქმეთა გამგეობა ჩააბარა დროებით თვის მემკვიდრეს. ჯერ პირველის უბედურების შემდეგ (ჰედელის ავკაცობისა) მოზავეთა მთავრობანი დარწმუნდნენ, რომ დამბაჩა ასვრევინა კაცს იმ გრძნობამ, რომელსაც ამოქმედებს აგიტაცია მიმართული აწმყო სახელმწიფოისა და საზოგადოებრივის წყობის წინააღმდეგ. ამის გამო მოზავე მთავრობათა მიერ შეტანილ იქმნა რეისსტაღში წინადადება (კანონად მისაღები) რათა ბოლო მოეღოს ამ საშიშო ქადაგობას (პროპაგანდას). მაგრამ რეისსტაღმა უარ ჰყო იგი წინადადება. ეხლა, როდესაც მეორე ავკაცობამ ცხადად დაანახვა ყველას თუ რა განსაცდელი მოელის საზოგადოებას, თქვენ, ახლად ამორჩეულთ, ერთხელ კიდევ უნდა განიხილოთ თუ აწ მომქმედი კანონები რამდენად საკმარისი არიან რომ ზემოხსენებული მიდრეკილებანი უვნებელნი იყვნენ. მოზავე მთავრობანი ისევ დარწმუნებულნი არიან, რომ ბოროტობის მოსპობისათვის საჭიროა არა ჩვეულებრივი ზომიერება. მოზავე მთავრობანი დარწმუნებულნი არიან აგრეთვე, რომ ამ ზომიერებამ უნდა დაიცვას თავისუფლება და მოსპოს მხოლოდ ამა თავისუფლების ბოროტ-მოქმედობა. ერთი კანონად მისაღები წინადადება ამის შესახებ ეხლავე იქმნება წარდგენილი თქვენ წინაშე. მოზავეთ საბჭოს იმედი აქვს, რომ რეისსტაღიც ხელს მოუმართავს და მიაცემინებს ჯეროვან ზომიერებას რათა მშვიდობიანი განვითარება იმპერიისა დაცულ იქმნეს როგორც გარეულ ისე შინაურ მტერთაგან“.

აქედგან ცხადად სჩანს, რომ რეისსტაღი ამ სესსიაში განიხილავს მხოლოდ იმ კანონს სოციალდემოკრატთა წინააღმდეგ, რომელიც მოზავეთა საბჭომ შეიტანა და რომელიც ცნობილი აქვს მკითხველს. რა ბედი მოელის ამ კანონს, მიღებულ იქმნება თუ არა ღმერთმა უწყის. ის კი უნდა მოგახსენოთ ერთხელ კიდევ, რომ თუ მიღებულ იქმნა ეს კანონი, დიდი განსაცდელი მოელის გერმანიის შინაურ საპოლიტიკო მდგომარეობას. თუმცა სამეფო სიტყვა ამბობს, რომ ზომიერებამ უნდა დაიფაროსო თავისუფლება და მოსპოს მხოლოდ ამ თავისუფლების ბოროტ-მოხმარებაო; მაგრამ ყველასთვის ცხადია თუ რა მნიშვნელობა უნდა მიეცეს ამ გვარ ლაპარაკს.

---

*) როგორც მოგეხსენებათ, იმპერატორის ავათმყოფობის გამო მის თანამდებობას აღსრულებს მისი მემკვიდრე.

**) პარლამენტი მოქმედობს მხოლოდ რამდენიმე თვე წელიწადში. ამა ხანს უწოდებენ სესსიას.

ვინ იტყვის თუ სად თავდება თავისუფლება და იწყობა მისი ბოროტ-მოხმარება? ან ვინ არის ამ საქმეში მსაჯული?

— ოსმალეთში მოხდა ერთი შესანიშნავი ამბავი, რომელიც სხვათაშორის გვიჩვენებს, თუ რა განსაცდელშია როგორც ოსმალოს სახელმწიფო, ისე იქმნება თვით მშვიდობიანობის საქმე ევროპაში, რამდენადაც იგი საქმე დაერთვის ოსმალეთის ბედ-იღბალს. მე მოგახსენებთ მეჰმედ-ალი-ფაშის მოკვლაზედ ალბანიაში, იმ მეჰმედ-ალისა, რომელიც ოსმალეთის წარმომადგენლად იყო ბერლინის კონგრესში. მეჰმედ-ალი გაგზავნილი იყო მთავრობის მიერ იმ მაზრებში, რომელნიც, კონგრესის ძალით, სერბიას და ჩერნოგორიას უნდა მიეცნენ,—გაგზავნილი იყო მეთქი ხალხის დასამშვიდებლად და მოსამზადებლად იმ ცვლილებათათვის, რომელიც მოელოდა მას ახალ მდგომარეობის გამო. მაგრამ მეჰმედ-ალის მოუცდა თვისის თანამდებობის აღსრულება: ქალაქს იპეკში დაეცნენ მეჰმედ-ალის სადგომს და მოკლეს იგი და რამდენიმე აფიცერი, რომელნიც მას ახლდნენ თან. ეს ამბავი შესანიშნავია მეთქი და აი რად. პირველი ეს, რომ ოსმალეთის მთავრობა იმდენად უძლურია, რომ ვეღარ ასდის იმ მრავალ-გვარ მიდრეკილებას და სურვილს, რომელიც სუფევს მის მრავალ-გვარ ქვეშევრდომთა შორის. თვით ხალხი, მთავრობის დაუკითხავად, ეწინააღმდეგება ბერლინის სიგელს და იმ ახალს მოწყობილებას, რომელიც დადგენილია დიპლომატებთა მიერ. უნდა ვიფიქროთ, რომ მეჰმედ-ალის ბედი მოელის სხვა დესპანსაც რომელიც გაგზავნილი იქმნება ბერლინის სიგელის აღსრულებაში მოყვანისათვის. ახლა ვინ უნდა აასრულოს ეს სიგელი? ევროპის სახელმწიფოთა ერთობა ამ შემთხვევაში, ხომ, როგორც მოგახსენებთ, ტყუილ-უბრალო სიტყვაა, და თუ ერთს რომელიმე სახელმწიფოს მიენდო ეს საქმე, მაშინ სურათი სრულიად გამოიცვლება და საჭირო იქმნება ახალი კონგრესი ახალის სიგელის დადგენისათვის. ერთის სიტყვით ბერლინის სიგელი ეხლავე ლიტონი სიტყვა, რაც შეეხება ბალკანიის ნახევარ კუნძულს. გასაკვირველი არც არა არის რა მკითხველისათვის, თუ მოიგონებს რაც თავის დროზედ თქმულა ამ საგანზედ „ივერიაში.“

---

## პროვინციალური მეთვალყურის ჩივილი და შენიშვნები

(დასასრული *)

### III

„სწორე მოგახსენო, მეგობარო, და ასე დაცემული, გალაზღანდარებული, გულით და სულით მოცვეთილი, მარტოკა თავის კუჭის მოყვარული ხალხი, როგორც ჩვენი საქართველოს აზნაურობაა, მერე ქართლისა, არ შეიძლება. მთელი დღე უქმად აღამებენ (რასაკვირველია, ყველაზედ ვერ ვიტყვით), ლაზღანდარობენ, ლოთობენ. ამასთანავე უნდა გითხრა, მეგობარო, რომ ამათზე უნიჭიერესნი მე ძნელად შემხვედრია ვინმე: ენა-მახვილი, მოსწრებული ლაპარაკი, მოხერხება, სივაჟკაცე, ნამდვილი მამა-პაპური ქართული გულ-გაშლილობა, მაგრამ აკი მოგახსენეთ—გაუქმდა ეს ყველაფერი ცუდისა და უმსგავსო ცხოვრებისგან. ესენი გლეხ-კაცობას დღევანდლამდინ ისეთს უჯიათს უშვრებიან, რომ არ გაგონილა, არ თქმულა. ან იასაული, ან პრისტავი რათ უზამს ამას: ეხლა აქ, ჩვენში, ბევრს ალაგას, როგორც იცი გასამიჯნავი კამმისია დადის. თავად-აზნაურები სარგებლობენ გლეხ-კაცობის სიბრიყვით, წაედავებიან განგებისად, რომ ჩემს მამა-პაპას სჭერია შენი მამული, და ჩემიაო. შენს მტერს მოსწყდეს წელი, რომ გლეხს ისეც მოწყვეტილი წელი სამუდამოდ სწყდება. „შენი ჭირიმე, ბატონო, აი ეს წითელი ქაღალდი და ი შენი ცოლ-შვილის სადღეგრძელოთ მიპატიე, სულს ნუ ამომხუთავ“. არ მომიკვდე, გულ-ქვა თავადია თუ აზნაური ოცდა ხუთიანს გაასაღებინებს; ზოგს ოთხს, ზოგს ათსაც, სულ ტყუილა უბრალოზედ. ვაი, საწყალო ქართველო გლეხო! რით ვერ გაიგე, რომ მამული არც კი გახსოვს, თუ როდიდგან ხელში გიჭირავს უდავოდ—უდარაბოდ, შენია და ახლა კი ყიდულობ ვიღაც გადამთიელის აზნაურისაგან. იცის რომ ტყუილად ართმევენ თავის ღვიძლ მამულს, მაგრამ ვერ გამოუთქვამს, სიტყვის გზა არა აქვს, რომ დაიჩემოს. ემაგიტომ გინდა, რომ შენი შვილიც უსწავლელი დააგდო? შენი კეთილის მყოფნი ხანდახან რომ გირჩევენ ხოლმე, შკოლაში მიეც შენი შვილიო, რატომ არ აძლევ? 1)

---

*) „ივერია“ №№ 33, 34, 35. 1878 წ.

1) არა, შორიდგან ელაპარაკე ძალიან, მე შენ მოგახსენო, შენი მომლაგარი წაუკითხავს მაგ შენს ქადაგებას—ლაპარაკებს. თუ მოასწრო სადმე გაჭირვებულს თითონ ბუკის მაშინ! იქნება თითონაც დაიყოლოს მაგისი ოხერი მიწები.

„იმავ თავიდგანვე ეს უსიყვარულობა ერთმანეთში, უთავდარიგობა, უერთმანეთობა, შური და სხვ. იყვნენ ჩვენის ქართველობის დამღუპველნი და ეხლაც ესენი გვღუპვენ. მოკვდებოდა ერთი მეფე და იმისი შვილები ერთი ალთას გაიქცეოდა და დაჯდებოდა მეფედ, მეორე ბალთას; აუტეხდნენ ერთმანეთს ჩხუბს და დახოცდნენ მმებს, ერთიერთმანეთს თავიანთის შურის გამო. ეხლაც, შინ გინდა, გარეთ, სამსახურში, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში ვინ უთხრის ძირს ქართველობას? ქართველი. ვინ აბეზღებს? ვინ ჰკილავს? ქართველი ქართველს ვინ ზიზღობს ქართველობას? ქართველივე. ვინ უთხრის სამშობლო ენას ძირს და ამხობს? ქართველივე, მხოლოდ, გესმის, შურის გამო. აი, მგონი, ამ ორის წლის წინად რა მოხდა. სადგილ-მამულო (საადნაურო) ბანკის მოთავის არჩევანი იყო. უწინდელი თუ არ მოსწონდათ და რიგიანად არ მიჰყავდა საქმე, მაშინ უნდა სხვა ვინმე აერჩიათ. აერჩიათ სხვა, სხვა ხომ არა იქნებოდა რა. მაგრამ არა, შურმა, ჯიბრის ზიზღმა, არ დააყენა ზოგიერთნი და მოინდომეს როგორმე ფეხი გამოედოთ უწინდელის თავმჯდომარისთვინ და თითონ გამოჭიმულიყვნენ. არა ღონისძიება არ დაზოგეს; იეზუიტების დევიზი „მიზანი ამართლებს ხერხსაო“ მსვლელობაში წაიყვანეს. ამ ჩვენს უდაბნო ქართლში ისე დარბოდა ფული აზნაურების შესაყიდათ, რომ წინააღმდეგი კენჭი ჩაეგდოთ უწინდელის თავმჯდომარისთვის—როგორც ფაეტონის კარგი ნაჩირის ცხენი. მოგეცა ღვთის წყალობა ბევრმა გუდაშშიერმა აზნაურმა ყელი ჩაიცხიმიანა იმ ფულებით. ასეთი ღორღალი იყო დუქნებში, რომ მეორეთ-მოსვლა ეგონებოდა კაცსა. აბა შენგან არ მიკვირს! ოხერ ფულებზე ვინ არ შემოსძახებდა „ჩონგუროს“: ეს მოსყიდული აზნაურობა ჩავიდა თბილისში, გამოუყვიდათ ნუნუას მალა თავიდგან და ისეც ცარიელი თავი ჩვენის აზნაურობისა სულ გამოშტერდა. დაალეს პირები ამ დალოცვილმა ცხვრებმა და ისევ უწინდელი ამოარჩიეს. 1) „ივლტოდნენ სირცხვილეულ ურიანი იგი“, და ფულის დამრიგებელი ხომ, რასაკვირველია, ტუჩებს ჩაილოკდა, რომ შრომა დაუფასდა. ეს მაგალითი რაზე მოვიყვანე?... დიახ, დიახ, იმაზე რომ ჩვენში დაუნდობლობა, უსიყვარულობა ახდენს ყოველისფერს, მეთქი. არა, დალოცვილებო, შესყიდვას, ფულების ხარჯვას, დაემტკიცებინათ საზოგადოებისთვის უვარგისობა უწინდელისა, დაერწმუნებინათ ამაში და თითონ გამოსცვლიდნენ. თვით ქვა ვერ ესროლეს და სხვის ნასროლით ყელის ჩაგემრიელება, აბა, რა საკადრისია. ოჰ, როდის რა გვეშველება ჩვენ საწყლებსა! ღმერთმანი, მეგობარო, რომ უბედურ წრეს დავადექით მთლად ქართველობა და სად მივალთ იმას კი აღარ ვკითხულობთ.—მეორე წერილამდის.“

მე, მკითხველო, არ ვიცი ვინ შევიბრალო: ჩემი მეგობარი, რომელიც ისე მწარეთ მოსთქვამს, თუ ჩვენი უხეირობა,—უხეირობა მთლად ქართველობისა. ჩვენ ერთმანეთისა არა გვესმის რა, რას გააგონებ ბრიყვ ხალხს, როდესაც თვით მის დამრიგებლებს არა ესმისთ რა. ერთხელ შევნიშნეთ ჩვენ პატივცემულს პაწაწა გაზეთს „დროებას“ (იხილე „ივერია“ № 2, 1878 წ.), რომ რადაც საჭირო ცნობათა ფურცელი არ არის საჭიროვო; ეხლა მუმუ-მწოვარა ბავშვმაც კი იცის, რკინის გზა როდის საიდგან მიდის, ტელეგრამმაში სადამდინ რას იღებენ. თუნდ არ იცოდნენ, მე მეძნელება, რომ „დროებაში“ ჩაიხედონ მაგისგულისთვის. კარგი არ იქნება, ბატონო, რედაქციავ „დროებისავ“, რომ სხვა რამე დაგვიბეჭდო მაგის მაგიერ? დავიჯერო ქვეყანაზედ იმასთანა მცნებები არ არის, რომ საჭირონი იყვნენ ქართველებისთვის? ბევრი, ძალიან ბევრი, მაგრამ ქართველური დაუდევრობა აქაც თავს არ გვანებებს.

წაკოლა—ც.

---

1) რა ქნა, თითქო პურ-მარილის დამსწავლელი ხალხია ჩვენი აზნაურობა და გადახდაც იცის და ეს როგორ მოსვლია, ვერ გადაუხდიათ. დამიხედეთ, დამიხედეთ, პურ-მარილობას!!

## რამეთუ კაცი ვარ.

(შემდეგი *)

### IV

გერმასი გამალებული მიდიოდა, არსად არ შეფერხდა.

მალე მიაწია უკანასკნელს მოსახვევს ღელისას, რომელზედაც გზა გადიოდა. აქ ფერხთა წინ დაინახა ბრწყინვალე ქავლი წყლისა, რომელიც მიდიოდა განიერს ველზედა და ჰრწყავდა უდაბნოსა. აქავ თვალ-წინ წარმოუდგა უშველებელი ბზის ხეები, ბუჩქნარები, რომელთ შორისაც მოჩანდნენ სახლე-

*) «ივერია» №№ 31, 32, 34.

ბი სოფელში მცხოვრებთა, გარეშემორტყმულნი ბაღებითა და მორწყულის ყანებითა.

მის ყურამდე მოაღწია კიდეც მამლის ყივილმა და ძაღლთა ყეფამ. თავისს საცხოვრებელს კლდეებში იგი მიჩვეული იყო სიჩუმეს და უხმაურობას და ეხლა კი როცა ეს ხმები მოესმა ისე მიიღო ვითომ გაჩაღებული ადამიანის ცხოვრება მიწვევს შესაქცევრათაო, ის ცხოვრება, რომლისათვისაც ისე მხურვალედ გული უცემდა.

გერმასი სოფლის პირას შედგა და დაუწყო ცქერა ბოლს, რომელიც ათას ადგილას სახლებიდამ ამოდიოდა და მაღლა და მაღლა ამავალის მზის სხივებში იფანტებოდა.

— აი აქ ბოლი რომ ამოდის, იქნება ცოლები საუზმეს უკეთებენ ქრმებსა და დედები შვილებსა; აიქ კიდევ საცა სქელი ბოლია, ვინ იცის, რა დიდის წვეულობისათვის მზადდება საჭმელი! ჰფიქრობდა თავის გულში გერმასი: მე კი... მე არსად არც სახლი მაქვს და არც მოპატიჟე მყავს!

პავლეს რომ გამოეჯიბრა და აჯობა, ცოტათი მოიმხნევა თავი და გული გაუკეთდა, ხოლო ეხლა კი რომ დაინახა ეს ადამიანთა საცხოვრებელი სოფელი, გული ახალის სევდით აევსო. ტუჩი აუკანკალდა რომ დაინახა თავისი ტყაპუჭი და ჭუჭყიანი ხელფეხი.

მაშინვე უცბად მოტრიალდა, ზურგი სოფელს შეაქცივა და უკანვე კლდეებისაკენ წამოვიდა. მივიდა წყალზედ, გადიგდო ტანიდამ ის უხეირო ტყაპუჭი და ტანისამოსი, ჩაეშვა გრილს წყალში, ტანი დაიბანა, თითებით გაისწორა თმა და ისევ სოფლისაკენ დაეშვა.

გვერდზედ ჩამოუარბინა იმ გორას, რომელზედაც ვითომ მოსე წინასწარმეტყველს ელოცნოს, როცა ამალეკიტელებს ეომებოდა.

ამ სოფლის ახლო მახლო კიდევ ბევრი სხვა წმინდა ადგილები იყო. ცოტა ჩრდილოეთით კლდე იყო, საიდამაც მოსემ კვერთხით წყალი გამოიყვანა. სამხრეთ-დასავლეთით ბექი იყო, საცა უფალი ღმერთი მოეჩვენა მოსეს. იქავ ჭა იყო, საცა იგივე მოსე შეხვედრია იეტრის ასულებსა, ციპორას და ლედიას.

სოფლის ნაპირზედ ჩრდილოეთით ციხე იყო, საცა რომის იმპერატორის მეციხოვნე ჯარი იდგა ამ სოფლის დასაცველად სარაცინთაგან და ბლემიელთაგან, რომელნიც მეკობრობდნენ და მტრობდენ სოფელსა.

თვითონ სოფლელნიც კი ჰზრუნავდნენ თავის თავის დასაცველად. ციცაბის კლდეების წვერებზედ დარაჯები ჰყვანდათ გარიგებულნი, ისინი დღე და ღამ გაჰყურებდნენ წინ გაშლილს ვაკესა და თუ მტერს თვალს მოჰკრავდნენ, მაშინვე აცნობებდნენ სოფელსა.

თვითოეული სახლი სწორედ პატარა ციხე იყო, ისე ჰქონდათ გამაგრებული სახლები, სულ მაგარის თლილის ქვის აშენებულნი. ყოველი მეკომური ჩინებული მსროლელი იყო.

იმ ბექის ახლო, საცა ეკკლესია იდგა, უფრო წარჩინებულნი ოჯახები ჰსცხოვრობდნენ, იქავ იყო სახლი ეპისკოპოზის ალაპიტისა და თვითონ სოფლის მოხელეებისა.

ამ უკანასკნელთ შორის ყველაზედ უფრო პატივცემული იყო სენატორი პეტრე. ჯერ პატივს იმისთვის ჰსცემდნენ, რომ ჭკუიანი და მდიდარი იყო, მერე იმისათვის რომ მისი ცოლი დოროტეა მეტად კეთილი და პატიოსანი ადამიანი იყო.

მშვენიერად იყო მოწყობილი და მოვლილი პეტრეს სახლი, მშვენივრადვე იყო ნაკეთები სახლის გარეშემორტყმული ბაღი. ოცი ნასყიდი ტყვე, ბლომა აქლემი და ორი ცხენი შინ მოსახმარად ჰყვანდა.

სახლის ერთი ნაწილი ქირით ეჭირა იმპერატორის მეციხოვნეთა ჯარის უფროს ცენტურიონს ფებიცის და მის ცოლს სირონას. პეტრეს არ მოსწონდა თავისი დგმური, რადგანაც ქრისტიანი არ იყო.

ფებიცისს ჰსწამდა და თაყვანს ჰსცემდა სირიის ღმერთს მიტრას და ამის თაყვანის მცემელთა შორის მიიღო კიდეც დიდი ხარისხი „ლომისა“. ლომსვე ეძახდნენ თვითონ სოფლელნიცა.

გერმასი კრძალვით მიდიოდა პეტრეს სახლისაკენ. კრძალვა მოემატა, როცა წინა ოთახში დაუბრკოლებლივ შევიდა და აღარ იცოდა აქედამ საით უნდა წასულიყო. არავინ არ შეხვდა რომ

ეკითხნა ვისთვისმე. ასვლა კიბეზედ, რომელიც ზემო სართულში ადიოდა, ვერ გაბედა, თუმცა ვარაუდით სენატორი პეტრე იქ ეგულებოდა. აი მოესმა კიდეც იმისი ხმა.

გერმასმა ფეხი დაადგა პირველს საფეხურს კიბისას და როცა უფრო გაბედვით დაიწყო კიბეზე ასვლა, მაშინ უეცრად კიბის თავში გაეღო კარი და გამოცვივდნენ პატარა ყმაწვილები ჟღივილით და კასკასითა.

გაოცებულმა გერმასმა თვალი მიაბჯინა ამ ბაშვების გუნდსა და მინამ მოისაზრებდა რა ამბავია, ყმაწვილები კიბეზედ მოცვივდნენ.

ყველაზედ წინ მორბოდა ქალი საკვირველის მშვენიერებისა ოქროს ფერის თმითა. ხმა-მაღლა კასკასებდა და ხელში ათამაშებდა ჭრელად მოსილს კუკსა. ქალს კიბისაკენ ზურგი შემოექცა და ყმაწვილებისაკენ პირი ჰქონდა. ყმაწვილები კიდევ, რომელთაც დიდი სურვილი ჰქონდათ კუკი ხელში ჩაეგდოთ, ზოგი ეხვეწებოდა, ზოგი სიცილით, ზოგი კიდევ წუწუნით ემუდარებოდა ქალს და იყო ერთი ჟღრიამული და წივილ-კივილი. „ჩვენ მოგვეცი, ჩვენ, სირონავ! ნულარ წაგვართმევ. სირონავ! დადეგ, დადეგ, სირონა ჯან! შენი ჭირიმე დადეგ,“ უყვიროდნენ ბაშვები.

ერთი პატარა ექვსის წლის ქალი მკლავზედ ჩამოეკიდა სირონას რომ როგორმე ხელი მიაწვდინოს კუკს და წაართვას, სამი უფრო პატარები მოხვევოდნენ მუხლზედ და არ უშვებდნენ. სირონამ მარცხენა ხელით ეს პატარები მოიგერა, აუჩქარა ფეხი და თან მხიარულად ეუბნებოდა:

— არა, არა, თქვენ კუკს ვერ მიიღებთ მინამ ახალი კაბა არ ექმნება მზად. ისე გძელი და ჭრელი იქნება როგორც იმპერატორის სამოსელი. ციცილია, მომშორდი, თორემ თავ-პირს დაიმტრევ როგორც გუშინ ნიკონს მოუვიდა.

ქალმა უეცრად თვალი მოჰკრა გერმასს, რომელიც პირდაღებული შემოჰსცქეროდა ამ მხიარულს კრებას. სირონას ჯერ შეეშინდა და როცა მორცხობით ატაცებულმა გერმასმა პასუხი ვეღარ მოახერხა სირონას კითხვაზედ, რა გინდაო, ქალი ისევ მხიარულად სიცილს მოჰყვა და დაიძახა:

— რას გაჩერებულხარ? ჩვენ ხომ არას დაგიშავებთ! რას შიშობ! განა, არას დაუშავებთ, ჩემო პატარებო?

გერმასი ამ ხანობაში იმოდენად მოკეთდა, რომ უთხრა სენატორის ნახვა მინდაო. სირონა ძალიან დააკვირდა იმ მშვენივრად მოყვანილს ყმაწვილკაცს და უთხრა მე წაგიყვან სენატორთანაო.

პეტრე ამ დროს ელაპარაკებოდა თავის ორს უფროსს შვილს. პეტრეს უფროსი შვილი ლამაზი ყმაწვილ-კაცნი იყვნენ და ნიჭიერნიცა. უფროსი ანტონი მეხანიკი იყო და უმცროსი პოლიკარპი ძალიან მაღალის ნიჭიერების სკულპტორი. პოლიკარპი მამას ეუბნებოდა თავის აზრს მასზედ თუ როგორ გადიტანოს ალექსანდრიაში უშველებელი ლუსკუმები, რომელიც მას შემოკვეთილი ჰქონდა. მამა არ ეთანხმებოდა, მაგრამ შვილი ისე გულ-მხურვალედ აჯერებდა, რომ ბოლოს ესეც დაუყაბულდა.

ოთახში შემოვიდა პეტრეს ცოლი დოროტეა და მისი ქალი მარტანა. დოროტეას ძალიან უხაროდა, რომ საყვარელის შვილის აზრი სისრულეში მოვა.

— რაო? სირონა თქვენთან არ ყოფილა? ჰკითხა უეცრად პოლიკარპმა, რომელსაც უნდოდა გულ-გრილად ეჩვენებინა თავისი თავი, მაგრამ ვერ მოუვიდა და სახე აუწითლდა ამ კითხვაზედა.

მარტანამ ეს შეამცნია და ქვეშ-ქვეშობით უპასუხა:

— სირონამ დღეს ერთის წუთით დაგვანახა თავისი მშვენიერი სახე და ისევ მალე მოგვშორდა რაღაც მძიმე საქმე მაქვსო.

— საქმეო? ვისა? სირონას? ჰკითხა გაკვირვებით პოლიკარპმა.

— მაშ! მაშ! იცინოდა მარტანა: სირონას ჰქონდა, სირონას! კუკისათვის ახალის კაბის შეკერვა მძიმე საქმე არ არის განა!

— ახლა შენ რად დაჰსცინი მის გულ-კეთილობას? ჰკითხა მდურვით პოლიკარპმა.

— უჰ, გულ-ბილი რამ ყოფილხარ! ჰსთქვა ხმა დაბლა მარტანამ: სირონა გულ-უბრყვილოა დაკეთილი, როგორც ანგელოზი, მაგრამ მაინც შენ ისე ხშირად არ უნდა შეაჭყიტო ხოლმე თვალები. იგი ჩვენი არ

არის და რაც უნდა ჰსძულდეს თავისი ქმარი გალელი ცენტურიონი, მაინც კიდევ....

სიტყვა ველარ დაასრულა, იმიტომ-რომ ამ დროს დედამ ამათკენ მოიბრუნა პირი.

ქვა იქავ სენატორის მამულში უნდა მოეჭრად ლუსკუმის გამოსაკვეთად. ქვის მოჭრას მუშები უნდოდა. დოროტეამ თავისი მოურავი იეტრო დაიბარა. მოურავი მოვიდა და დოროტეამ შეუკვეთა მუშები იშოვნეო, ზოგი ჩვენი შინა-ყმანი მიაშველეო, ასე კიო ჩვენი შინაური საქმე ამითი არ შეფერხდესო. რასაც კი დოროტეა ამ საგანზედ ეუბნებოდა, ყველაფერი გონივრული და ჭკვიანური იყო. აშკარად ჰსჩანდა, რომ ოჯახის ავ-კარგი კარგად ეყურებოდა და ბძანებლობასაც ჩვეულ ყოფილა.

— აი ის ახმახი ანუბისი! ჰსთქვა დოროტეამ: ის შეიძლება ცოტას ხნობით თავლას მოვაშოროთ. თავლაში ის ისე საჭირო არ არის; უიმისოთ თავლაში იოლად წაველენ.

მოურავმა ამაზედ პასუხი დაუგვიანა, თუმცა აქამომდე სწრაფად აძლევდა პასუხსა. ამასთანავე ისეთის თვალით გადახედა პეტრეს, რომელიც ამ დროს შვილის სამუშაო გეგმას სინჯავდა, რომ აშკარა იყო პეტრესი ერიდება და იმასთან პასუხის თქმა ემძიმება.

დოროტეა მიუხვდა იეტროსს და სწორედ ამ მიზეზითაც უფრო გაკვირვებით, ვიდრე გაჯავრებით ჰკითხა:

— ეგ თვალით რომ მანიშნე, რა ამბავია? რაც ჩემთვის მოსასმენია, ის პეტრესათვისაც მოსასმენი უნდა იყოს.

სენატორმა ამათკენ შემოიხედა და ისეთის თვალით გაზომა თავისი მოურავი, რომ ამან უკან დაიწია და მოჰყვა რაღაცის ტიტინსა.

ბავშვების ხმაურობამ სიტყვა გააწყვეტინა. ოთახში შემოცვივდნენ ყმაწვილები და სირონა. სირონამ გერმასი მიიყვანა სენატორთან, და სიცილით უთხრა:

— აი ეს გძელი ჭაბუკი კიბეზედ ვიპოვე; შენ გეძებდა.

პეტრემ მოყვარის თვალით ვერ შეხედა ჭაბუკს და ჰკითხა, ვინა ხარ და რა გინდაო.

გერმასს მორცხობისაგან ენა დაება, თავის დღეში ამდენს ხალხში, მერე საცა სამი ქალი იყო, თავისი თავი არ ენახა. სხვა რომ ვერა გაეწყო რა, თავისის ტყაპუჭის ბეწვს დაუწყო ვლეჯა და ტუჩებს კიდევ ცმაცუნი. ბოლოს, როგორც იყო ხმა ამოიღო და ძლივ-ძლივ წაიდუდღუნა:

— მე სტეფანეს შვილი ვარ, აი ამ ბოლოს დროს რომ დაჰსჭრეს სარაცინები რომ დაგვეცნენ. ხუთი ღამეა რაც მამა-ჩემს ძილი აღარ მოჰსვლია. მე გამომგზავნა შენთან პავლემ, კეთილ-მორწმუნე პავლემ ალექსანდრიელმა, შენ ხომ იცნობ, გამოგზავნა, რომ....

— ჰო, ჰო, გააწყვეტინა სიტყვა პეტრემ და იმ კილოთი დაუწყო ლაპარაკი, რომ ამ ყმაწვილ-კაცს გული მოუგოს: ჰო, ვიცი! შენ მამიშენისათვის წამალი გინდა. ერთი უყურე, დოროტეავ, რამოდენა ვაჟ-კაცი გამხდარა ის ბავშვი, რომელიც ანტიოხელმა თავისთან მთაში წაიყვანა. ვერ ხედავ რა ტანადი ვაჟ-კაცია!

გერმასი გაწითლდა და უნებლიეთ გაჰსწორდა და ტანი მოიმარჯვა. დიდის თავ-მოწონებით ნახა, რომ სენატორის შვილებზედ უფრო ტანადი, და მაღალია თითონ. ისინი და გერმას ერთის ხნისანი იყვნენ თითქმის, მაგრამ იმათ წინ უფრო მორცხობდა, ვიდრე იმათ დაღვრემილ მამის წინაშე. ესეც უნდა ვჰსთქვათ, რომ სენატორის შვილები ვერაფრად მოსდიოდნენ თვალში გერმასს. ამისი გული იმათ როგორღაც არ მიეკარა.

პოლიკარპმა თავიდამ ფეხამდე თვალით გაზომა გერმასი, და ხმა-მაღლა უთხრა სირონას, რომლისათვისაც ერთს წუთსაც თვალი არ მოუშორებია:

— ერთი ამისთანა მხარ-ბეჭიანი ოციოდ მუშა რომ გვეშოვნა ჩვენი საქმე კარგად წავიდოდა. აქ, ჩვენო ახმახო ფალავანო, სამუშაოა, თუ გინდა....

— მე ფალავანს კი არ მეძახიან, მე გერმასი მქვიან, ეს იცოდე, უპასუხა თავ-მოწონებით გერმასმა და შუბლზედ ძარღვები სისხლით აევსო.

პოლიკარპს ენახა ბერ-მონაზონები წმინდა მთაზედ, იცოდა იმათი ავი და კარგი, მაგრამ არ ეგონა, რომ ამისთანა ჯან-მრთელი, ღონიერი ჭაბუკიც მეუდაბნოეთა რიცხვში იქნებოდა. მაშინვე

მიხვდა, რომ ეს მამის სტუმარი რაღაც რამ მეტია მასზედ, რაც მისი ტანისამოსი აჩენს. ისიც იგრძნო, რომ აწყენინა ჭაბუკსა, და ამის გამო ასე, მეგობრულად და ტკბილად უთხრა:

— მაშ გერმასი გქვიან? რათ მიწყინე? ჩვენ ყველანი მუშები არა ვართ განა? შრომა არავის არ ამდაბლებს. სახელდობრ რა საქმეზედ სდგეხარ?

ამ სიტყვამ ძალიან აამღერია გერმასი, დოროტეამ შეამცნივა ეს ამბავი და მაშინვე წამოიძახა:

— თავის სნეულს მამას უვლის. არა, ჩემო შვილო? პეტრე შემწეობაზედ უარს არ გეტყვის.

— მაგას ეჭვი არ უნდა, ჩაერია ლაპარაკში სენატორი: ცოტას ხანს უკან მეც გამოგყვები მამაშენთან, გერმას. თქვენ კი, ჩემო შვილებო, იცოდეთ: ამისი მამა გამოჩენილი დიდ-კაცი იყო. მან დიდს სიმდიდრეზედ აიღო ხელი, ზურგი შეაქცია ამ წუთის სოფელს, რომელმაც მრავალი მწარე დღე გამოატარა. და სულ მთლად მიეცა ღვთის სამსახურსა. ჩვენ შეგვიძლიან იმის აზრს ღვთაებაზედ არ ვეთანხმოთ, ხოლო პატივ-საცემი კაცი კია და პატივი უნდა ვცეთ. ჩამოჯეგ, ჩემო კარგო! ჯერ ერთს მძიმეს საქმეზედ მოსალაპარაკებელი მაქვს, მოერჩები თუ არა, წამოგყვები და წავიდეთ.

— ჩვენ ძალიან მაღალს მთაზედ ვდგევართ, წაიბუტბუტა გერმასმა.

— მაშ წმინდა ჰაერში ჰსცხოვრობთ, როგორც ეხედავ, მიუგო სენატორმა. კარგია მომაგონდა! იქნება მამა-შენი მარტოა ეხლა? მაგრამ შენა ჰსთქვი, რომ ის მადლიანი კაცი პავლე იქ არისო. თუ ეგრეა, კაი პატრონი ჰყოლია, არა უშავს რა, რომ აქ ცოტათი მოიგვიანო კიდეც.

პეტრეს რაღაცა მოაგონდა და ჩაფიქრდა. ცოტას ხანს, მერე თვალი უყო შვილებს და უთხრა:

— შენ, ანტონივ, წადი და მუშების საქმეს შეუდეგ, შენ კი პოლიკარპ, შეუდეგ საქონლის შომბნის თადარიგს. ფულს ნუ დაიშურებ, ოღონდ კარგები იყვნენ. რაც მალე პასუხს მომიტანთ, მით უფრო კარგი იქნება. საქმე უნდა სიტყვას ზედ მოჰყვეს ხოლმე, ის არის კარგი. როცა კვერი დაეცემა, ხმასაც მაშინვე გამოიღებს, ჩვენც ეგრე უნდა მოვიქცეთ. შენ კი, მარტანავ, ციების წამალი შეამზადე და რამდენიმე წყლულის შესახვევი მჩერები. აი გასაღებიცა.

— მეც გიშველი, დაიძახა სირონამ, რომელსაც უყვარდა, რომ რაშიმე კაცს გამოჰსდგომოდა. ამასთანაც ებრალებოდა საწყალი და სნეული მეუდაბნოე. გერმასს როგორღაც განსაკუთრებით უყურებდა: სირონას ეგონა, რომ ეს ჭაბუკი ჩემი ნაპოვნიაო, ჩემგან არის აქ მოყვანილიო. მას აქედ რაც შეიტყო, რომ გერმასი დიდი-კაცის შვილია, დიდის პატივის-ცემით დაუწყო ცქერა.

მინამ სირონა და მარტანა წამლის მზადებაში იყვნენ, ანტონი და პოლიკარპი გავიდნენ ოთახიდამ.

უკანასკნელმა გადააბიჯა დირეს ფეხი თუ არა, ერთი კიდევ უკან მოიხედა და დიდ ხანს მიაპყრა თვალი სირონასა. შემდეგ სწრაფად გაჰსწია, მიიხურა კარები და აღმოკვნესით ჩაიარა კიბე.

როცა შვილები გავიდნენ, პეტრე ხელახლად მიუბრუნდა მოურავს და ჰკითხა:

— რა მოჰსვლია იმ ჩვენს შინაყმას ანიბუსსა?

— დაჭრილია, უპასუხა იეტრომ: ასე დაჭრილია, რომ რამდენსამე დღეს არა ფრის კეთება არ შეუძლიან. მირიამამ, იმ გარეულმა კატამ, თავი გაუხეთქა ნამგლითა.

— მე მარტო ეხლა მესმის ეგ ამბავი! დაიძახა გულ-ნაკლულად დორიტეამ: მერე ის საძაგელი გოგბიო რა იქნა?

— ბეღელში დავამწყვდიეთ, უპასუხა იეტრომ: ეხლა იქა გდია და თმას იგლეჯს და იწყევლება. დოროტეამ თავი გაიქნივა გაჯავრებით და ჰსთქვა: „მაგით თქვენ იმას ვერ მოარჯულებთ. წადი და აქ მომიყვანე.“

როცა მოურავი გავიდა, დოროტეა მიუბრუნდა თავის ქმარს და უთხრა:

— კაცი გაგიჟდება, როცა ხედავს როგორ ექცევიან ერთმანეთს ის უბედურნი. აი რამდენჯერ შემინიშნავს! ისე შეუბრალებლად არავინ მოექცევა, როგორც მონა მონასა.

(შემდეგი იქნება)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 6 Сентября 1878 г. Типографія Еф. Хеладзе. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.